სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 210

2022 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მოხსნის შესახებ

„სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 ივნისის N74/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, „2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N149 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის სქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 17 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1466512) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროს

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2022 წლის 17 ნოემბრის N210 ბრძანებით

2022 წლის სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	SL-22-495	ქართული ენის დიდაქტიკური გრამატიკა	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
2	SL-22-551	საძიებო ბაზიდან საანალიზო კორპუსამდე: თანამედროვე პლატფორმა ტერმინოლოგიური მუშაობისათვის	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
3	SL-22-605	იტალიურ-ქართული სასწავლო ონლაინლექსიკონი	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
4	SL-22-174	კითხვის რესურსი ქართული ენის სწავლებისთვის	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად